# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 31 ივლისი, 2020 წელი

## გადაწყვეტილება №05-01/03

## სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 ივლისის 104-01/31 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში და დებულების მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„თ)** წარმოადგენს სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;“.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი**
**საბჭოს სპიკერი** **თ. მეიშვილი**